სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 22 0000959076

29/08/2022

სსიპ –საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის, „საჯარო სამართლის იუ რიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზ ე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების, მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022 - 2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადებით (დანართი 1) უნდა მიმართონ შესაბამის ფაკულტეტს 2022 წლის 31 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ - კვირის გარდა);
2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;
4. სტუ–ის ფაკულტეტის მიერ ,,სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“ დასკვნების მომზადება (დანართი 2) და სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 3) სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2022 წლის 23 სექტემბრისა;
5. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სტუ–ის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2022 წლის 3 ოქტომბრისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან